

მიწოდების პოლიტიკა

შეკვეთის მიწოდება უფასოა თბილისსა და რუსთავში.

მიტანის დღეებია :

ორშაბათი- სამშაბათი - ხუთშაბათი

12:00 დან 17:00 საათამდე.

შაბათი

12:00 დან 14:00 საათამდე.

მოწოდების დღეებში 10:00 საათამდე განხორციელებული შეკვეთა მოგეწოდებათ იმავე დღეს.

დანარჩენ რეგიონებში ტარიფი გამოითვლება ინდივიდუალურად და მოწოდება მოხდება საქართველოს ფოსტის ან DHL-ის მეშვეობით.

რუსთავსა და თბილისში უფასო მიწოდებისთვის შეკვეთის მინიმალური ღირებულება უნდა აღემატებოდეს 60 ლარს.

დაბრუნების პოლიტიკა

მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს შექნილი ნივთის/მომსახურების დაბრუნების უფლებით tupinamba.ge-ზე შემდეგი პირობებით:

კომპანიის მიერ განთავსებული ნივთების დაბრუნების წესი განისაზღვრება, წინამდებარე დაბრუნების პოლიტიკის შესაბამისად.

დაბრუნების პირობები:

კომპანია, დაბრუნების პოლიტიკის გათვალისწინებით, გაძლევთ შესაძლებლობას 2 კალენდარული დღის განმავლობაში უკან დააბრუნოთ შექნილი ნივთი ქვემოთ მითითებული წესის დაცვით:

დაბრუნების წესი და გამონაკლისები:

ნივთის დაბრუნების სურვილის შემთხვევაში სავალდებულოა თქვენი თქვენი მოთხოვნა დააფიქსიროთ წერილობით კომპანიის ელ.ფოსტაზე (tupinambageorgia@gmail.com), სადაც უნდა განმარტოთ დაბრუნების მოთხოვნის მიზეზი და ფოტო მასალით დაადასტუროთ ხარვეზის არსებობა.

ნივთის დაბრუნების ინიცირების უფლება თქვენ გენიჭებათ ნივთის ჩაბარების მომენტიდან და მოქმედებს ნივთის **მიღებიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში**.

თუ თქვენ 2 კალენდარულ დღეში არ მოახდენთ ნივთის დაბრუნების ინიცირებას, თქვენ დაკარგავთ ნივთის დაბრუნების უფლებას.

ნივთის დაბრუნება შეგიძლიათ განახორციელოთ კომპანიის შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ილია ბაბუციძის ქუჩა N5.

დასაბრუნებელი ნივთების მიღების საათებია:

ორშაბათი - პარასკევი

10:00 დან 17:00 საათამდე.

შაბათი

10:00 დან 13:00 საათამდე.

გაითვალისწინეთ, რომ კომპანია ვერ მიიღებს დასაბრუნებელ ნივთებს დღის სხვა მონაკვეთში.

კომპანია ნივთის დაბრუნებას (ტრანსპორტირებას) თავისი რესურსით უზრუნველყოფს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

პროდუქტი არ შეესაბამება შეკვეთას ან ვებ-გვერდზე განთავსებულ ტექნიკურ მახასიათებლებს;

პროდუქტს აქვს ქარხნული წუნი;

პროდუქტი დაზიანებულია ტრანსპორტირების პროცესში;

თუ პროდუქტს ან/და პროდუქტის შეფუთვას/იერსახეს აღენიშნებათ რაიმე სახის ცვლილება/დაზიანება, კომპანია უფლებას იტოვებს ეჭვქვეშ დააყენოს მისი ნამდვილობა/უნაკლოობა და შესაბამისად, დაბრუნების პროცედურა შეაჩეროს

მოკვლევითი და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებამდე, რაც შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა. ნივთის მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლოა დაგიბრუნდეთ გადახდილი თანხის ნაწილი.

ნივთის მიღებიდან 2 კალენდარული დღის შემდეგ დაფიქსირებული ქარხნული წუნის შემთხვევაში, მომხმარებელმა უნდა იმოქმედოს შესაბამისი საგარანტიო პირობებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნივთი დაბრუნებას არ ექვემდებარება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში (30 ლარამდე ნივთები და სხვ.).

3. ანაზღაურების წესი:

3.1. კომპანიის მხრიდან მომხმარებლისთვის თანხის დაბრუნება ხდება დაბრუნების მოთხოვნის გამოგზავნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

გამონაკლისია: თუ დაბრუნებული ნივთი ექვემდებარება სერვის ცენტრის მიერ შემოწმებას, თანხა აგინაზღაურდებათ სერვის ცენტრის დასკვნის შესაბამისად, სერვის ცენტრის მიერ მოწოდებული დასკვნის მოწოდებიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში.

დაბრუნებული ნივთის შესაბამისი საფასური დაგიბრუნდებათ ანაზღაურების იმ მეთოდით, რომლითაც მომხმარებელმა დააფიქსირა შეკვეთა. (გამონაკლისია: ნაღდი ანგარიშსწორებით/გადახდის აპარატებით ანაზღაურების შემთხვევაში მომხმარებელს თანხა აუნაზღაურდება საბანკო გადახდის მეთოდებით მომხმარებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე).

თუ ნივთს ან/და ნივთის თანმხლებ ნაწილებს/დოკუმენტებს აღენიშნებათ რაიმე სახის ცვლილება, კომპანია უფლებას იტოვებს ეჭვქვეშ დააყენოს მისი ნამდვილობა/უნაკლოობა და შესაბამისად დაგიბრუნოთ თქვენს მიერ გადახდილი თანხის ნაწილი ნივთის შეფასების შესაბამისად.

კომპანია დაბრუნებული ნივთის შემოწმებისა და მისი მდგომარეობის შეფასების (შემოწმება შესაძლოა მოხდეს კომპანიის/მოვაჭრის ან სერვის ცენტრის მიერ) შემდეგ მოახდენს თქვენთან დაკავშირებას დასაბრუნებელი ნივთის ღირებულების თაობაზე.

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონის ნომერია 597192909
